ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის
ინფორმატიკისა და ინჟინერიის საკოლის
სამაგისტრო პროგრამის
„ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“
2025/2026 ს.წ.-ის შიდა სამაგისტრო გამოცდების საკითხები,
ჩატარების წესი და ვადები

სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს შიდა დარგობრივი გამოცდა და გამოცდა ინგლისრურ ენაში.

გამოცდებზე მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტებმა განაცხადი უნდა წარადგინოს ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლაში **01.09.2025-დან 13.09.2025წ.-მდე** პერიოდში, ხოლო უშუალოდ გამოცდები ჩატარდება **17.09.2025წ.-დან - 19.09.2025**წ.-მდე პერიოდში.

ინგლისური ენის გამოცდა შედგება B2 დონის ტესტური დავალებებისგან და ფასდება 100 ქულით. ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატის წარდგენის შემთხვევაში აპლიკანტი გამოცდისგან თავისუფლდება.

შიდა დარგობრივი გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან: გამოცდა სპეციალობაში და გასაუბრება. მთლიანობაში გამოცდა ფასდება **მაქსიმუმ 30 ქულით, აქედან: გამოცდა სპეციალობაში - 20 ქულა, გასაუბრება - 10 ქულა.**

გამოცდა სპეციალობში შეიძლება მოიცავდეს შემდეგ თემებს:

- წრფივი ალგრებრა (მატრიცები, ვექტორები, წრფივ განტოლებათა სისტემების ამოხსნა და ა.შ.), ალბათობის თეორია (ალბათობის ცნება, ხდომილობები, განაწილებები და ა.შ.), კალკულუსი (წარმოებული, ინტეგრალი და მათთან დაკავშირებული საკითხები).
- პროგრამირების C/C++, Java, Python, C#, JavaScipt, Php რომელიმე ენაზე ალგორითმული ტიპის ამოცანის გადაჭრა.
- პროგრამირების C/C++, Java, Python, C#, JavaScipt, Php რომელიმე ენაზე ობიექტზე ორიენტირებული ტიპის ამოცანის გადაჭრა.
- ბაზის დაპროექტება აგება MS SQL, MySQL, Oracle -ის მართვის სისტემის გამოყენებით (ცხრილების აგება, ცხრილებს შორის კავშირები და ა.შ.).
- Web ტექნოლოგიები, რომელიც მოიცავს მარკაპის ცოდნას HTML, CSS. ელემენტარული კლიენტის (JavaScript ან მასზე დაფუძნებული რომელიმე ფრეიმვორკი ან ბიბლიოთეკა) და სერვერის (PHP, Python, Java, C# და ა.შ) მხარის ტექნოლოგიების გამოყენებას.

გასაუბრება ტარდება სპეციალობაში გამოცდის ჩატარების შემდეგ.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხებიან შიდა დარგობრივ გამოცდაში მიღებული საუკეთესო ქულის მქონე აპლიკანტები.